10 (22) ივლისს 1869. № 28. მეოთხე წელიწადი.

გაზეთის ფასი

Გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: Გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, შებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

შინაგანი ცნობები.—რუსეთის ამბები.—უარაიაზის მინდორი.—პოლიტიკა: ფრანცია.—ისპანია. — ანგლია. — პორტუგალია. — ავსტრია.—იტალია.—მკვლელობა ოდესიაში.—სავაჭრო ცნობები. — განცხადებაები. — ფელეტონი.—სცენა პეტერბურღის მომრიგებელ მოსამართლესთან.—

შინაგანი ცნობები.

წასრულს კვირას ყველგან იმას ლაპარაკობდენ თბილისში, რომ აქაურმა პოლიციამ გამოაჩინა მრავალი ყალბი ბილეთებიო; ეხლა ნამდვილათ შევიტყეთ, ამბობს გაზ. „ძავკაზი“, რომ პოლიციას მართლა უნახავს ერთი აქაური მოქალაქეს ხელში ხუთი ათასი მანეთის ყალბი ბილეთები; ეს ბილეთები სულ თუმნიანები და ხუთ თუმნიანები არიან. ამბობენ, რომ ბილეთები ძალიან ცუდათ არიან გაკეთებულნიო, ასე რომ მცოდნე კაცებმა იმ წამსვე იცნეს ისინი ყალბათ. ამ დღეებში აქაურ საზოგადოებაში ამ საქმეზე ბევრს ლაპარაკობდენ; ყველგან აქებდენ პოლიციის განკარგულებას და იმის ოსტატურად მოქცევასა. —

გურიიდან იწერებიან, რომ 29 ივნისს ოზურგეთში და სხვა ყველა გურიის საეპარქიო, სოფლების საყდრებში ეპისკოპოზი გაბრიელის განკარგულებით, გარდუხდიათ პარაკლისი და მადლობა შეუწირავთ, რომ წელს კარგ ღვინის მოსავალს აძლევს იმათ ღმერთი. ივაური მოხუცებულები ამბობენ, რომ, თუ არ წახდა ყურძენი, წელს ძლიერ კარგი მოსავალი იქნებაო; ასე რომ უკანასკნელი თორმეტი წლის მოსავალს ბევრად ემჯობინებაო.—

ეს ამბავი ძალიან სასიამოვნოა, მით უფრო, რომ, როგორც ჩვენ გაზეთში იყო გამოცხადებული, კახეთის მამულები ძალიან დააზიანა სეტყვამ, ასე რომ წელს აქ ძალიან ცუდს ღვინის მოსავალს მოელიან. ღმერთმა ქნას, რომ იმერეთში მაინც კარგი მოსავალი მოვიდეს.—

სოხუმის მაზრის მმართველმა ღენერალ-მაიორ ზეიმანმა მოახსენა მისს უმაღლესობას ქავკასიის მთავარ-მმართებელს, რომ ამ ნახევარი წლის განმავლობაში სოხუმის მაზრაში მოინათლა ხუთი ათასზე მეტი აფხაზი.

უკანასკნელი კამერალიური აღწერით სოხუმის მაზრაში ითვლება ეხლა 66 ათას 468 კაცი ორივე სქესისა; ამ რიცხვიდგან ორმოცდა სამი ათასი მოქრისტიანებული არიან.—

5-ს ივლისს თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ქვრივმა—ბარბარემ აცნობა მე II ნაწილის პოლიციის აფიცარს, რომ წინა ღამეს სამს საათზე შემოიპარა ფანჯრიდან იმის სადგომში ვიღაც ქურდი და წაიღო მრავალი ძვირფასი ნივთები, ხუთ სარგებლიანი და პრიკაზის ბილეთები, ტანისამოსი,—სულ 20 ათასი მანეთისა; ამას გარდა იმან მოიტაცა სხვა და სხვა

ფელეტონი.

ზაფხულის ფელეტონისტის გაჭირვება.—სასაცილო საგნებზე. უ. ინგილო-ჯანაშვილის სიტყვები „დროებაზე“. — მუშტაიდის თეატრი; „სიყვარულისაგან ცხვირის დაცემინება“.—ოპრი და მენცელები.—Цалфეხა мацеqаври Дѳнатѳ.—სურის ცრკი. რა ნაირი ზედმოქმედება აქვს ჩემზე იქაური მოთამაშეებს. „პირი ფილოსოფოსთაგანი“.

ზაფხულის ფელეტონისტისთანა ცუდს მდგომარეობაშია, მართალს გეტყვით, სწორეთ კაცი არ არის. ხუმრობაა, ბატონებო, ამ სიცხეში ოთხ-კედელს შუა ჯდომა და წერა? ამას გარდა ერთი საათისთვის საწერი რომ მოძებნო რამ, მთელი კვირა უნდა ირბინო მეძებარ ძაღლსავით და იქნება ორი, ან სამი გაქუცული ფაქტი გამოჩხრიკო სადმე იმისთანა, რომელზედაც ჰლირდეს მკითხველთან ლაპარაკი.—ამ სიცხეში სირბილი, ფიქრი და მუშაობა ხუმრობაა? ეს დალოცვილი თავიც მმტრობს: როგორღაც ამ სიცხეებში ბევრი, ბევრი დაძალებით იქნება ერთი ნამცეცი აზრი—ისიც დაჭლექებული, ძლივს დაბადოს.—ვსთქვათ, თავიც მუშაობს როგორმე, ვსთქვათ წერასაც ახერხებ, მაგრამ მასალები რომ არ არის, ამას რა გაეწყობა, რას იქ?! ფელეტონისტი ხომ ვერ მოიგონებს ფაქტებსა? იმის საქმე და ვალდებულობა მარტო ის არის, რომ აწეროს ცხოვრების მსელელობა, იმასაც შეეხოს ამასაცა, იმაზედაც ილაპარაკოს და ამაზედაცა; ერთი სიტყვით—იმან უნდა ილაპარაკოს ყველაფერზე და არაფერზე.—ეხლა მითხარით, თქვენი ჭირიმე, ამ სიცხეებში სად მოინახება საზოგადოების ცხოვრება? ჩვენი ცხოვრება ზამთარშიაც არა სჩანს, თორემ ამისთანა ზაფხულში, როგორიც ეხლაა, რაღა უნდა იყოს?! ეხლა ჩვენ კი არ ესცხოვრობთ, უფრო გვძინავს სიცხისა გამო; ან და მართლა ამისთანა სიცხეებში—ძილზე უკეთესს—რას გააკეთებს კეთილ-გონიერი კაცი! დაე გლეხებმა იმუშაონ ყანებში, მომკან პური, გალეწონ, თიავიც მომკან—გამოგვადგება.—ჩვენი კეთილ-გონიერი მკითხველი კი წამოწოლილია ეხლა ლაზათიანათ ხის ქვეშ ჩრდილოში, პირში ჩიბუხი უჭირავს და ძილის შემდეგ გაზეთი მოითხოვა და ეძებს-იქნება სასაცილო რამ ეწახო შიგაო... მე დალოცვილო, ასე გგონია—სასაცილოს დაწერა—ფლავის ხუთი თითით აღება და პირში ჩადება იყოს! ასე გგონია ლილახანაა! თუ არაფერი არ არის სასაცილო ჩვენ ცხოვრებაში—როგორ უნდა გავიცინოთ. მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ ჩვენ საზოგადოთ და ძილის შემდეგ განსაკუთრებით სიცილი, მასხარობა, ხუმრობა გვიყვარს; მაგრამ ფელეტონისტმა რა ჰქნას, გეუბნებით, თუ ვერ პოულობს სასაცილო საგნებსა.

ეს ყველა კიდევ არაფერი; როგორც იქმნებოდა და სადაც იქნებოდა—მოვნახავდით რასმე მკითხველის გამამხიარულებელს ან ჩვენ ცხოვრებაში, ან ლიტერატურაში და ან სხვაგან სადმე; მაგრამ, როცა უ. ინგილო-ჯანაშვილის სიტყვები მომაგონდება, კალამი მივარდება ხოლმე ხელიდან. „მე მსურს, ამბობს „მნათობში“ უ. ინგილო-ჯანაშვილი, რომ „დროება“ იყოს გაზეთი პოლიტიკური, სალიტერატურო და ეკონომიური, რადგან ჩვენთვის ამ სამი რამეს ცოდნა ძრიელ საჭიროა.“ მოდი და იმასხარე შენ ეხლა ამისთანა სიტყვების შემდეგ! როგორც სტატიიდან სჩანს—უ. ინგილო-ჯანაშვილი კეთილ-გონიერი კაცი უნდა იყოს და ამისთანა კაცის სიტყვას ყოველთვის ყურადღება უნდა მიაქციოს ყოველმა კაცმა.

უ. ინგილო-ჯანაშვილო, მე ჩემი თავიც კეთილ გონიერად მიმაჩნია და ამიტომ, თუ ჩემ ორს სიტყვას ყურადღებას მიაქცევთ, კარგი იქნება: „მე მსურს, ვამბობ მე „დროებაში“, რომ „დროება“ იყოს გაზეთი პოლიტიკური, სალიტერატურო, ეკონომიური, სამეურნეო, პედაგოგიური, სტატისტიკური, ისტორიული და სხვა ათასნაირი, „რადგან ამ ათასი რამეს ცოდნა ჩვენთვის ძლიერ საჭიროა“; მაგრამ რატო არ არის გაზეთი „დროება“ ამისთანა—თუ მოიფიქრებთ, თქვენც მიხვდებით. მე მსურს, რომ უ. პერესელიძის „Цისკარი“ კარგი იყოს, მაგრამ რატო არ არის!? მე მსურს, რომ ის ჟურნალი, რომელშიაც თქვენ სწერთ, იყოს ბევრად უკეთესი ეხლანდელზე; მაგრამ რატო არ არის ის უკეთესი, თუ მოიფიქრებთ, შეიძლება-მიხვდეთ და შეიძლება ვერა.

მე მსურს, რომ ჩვენ გაზეთებში და ჟურნალებში ისეთი სტატიები იწერებოდნენ, რომლებიდგანაც ყოველს ჩვენ მკითხველს შეეძლოს სარგებლობისა და სიამოვნების გამოტანა, რომლებსაც შეეძლოსთ ჩვენი საზოგადოების წახალისება კითხვაზე.—მიხვდით, რატო არ იწერება ამისთანა სტატიები.!—

მას აქეთ, რაც პირველად იყო „დროებაში“ რამდენიმე სიტყვა მუშთაიდზე, უკანასკნელი დიდათ გამოიცვალა: იქ გაიმართა ეხლა თეატრები, ჯიბის შემამსუბუქებელ ფაეტონების მაგიერად—მუშთაიდსა და ქალაქს შუა დაიარებიან ომნიბუსები, დახტიან ორი ახლად ბერლინიდან დაბარებული დები—მენცელები, გასაოცრად ცეკვავს ცალ-ფეხა Дѳнатѳ და სხვ.—იმ საღამოს, როცა მე გახლდით მუშთაიდში, სხვა შექცევებთ შორის წარმოადგინეს ვოდევილი—„სიყვარულისაგან ცხვირის დაცემინება“. შინაარსი ამ ვოდევილისა მდგომარეობს იმაში, რომ ერთი ახალგაზდა ქალი, რომლის გული სრულიად ვერ დაუჭერია ქმარს, ეძებს რომელიმე გასართობელ საგანს; ბოლოს ამ ნაირი საგანი ამოჩნდება: იმათ პირ და პირ დგას ერთი აფიცერი, რომელიც ამ ახალგაზდა ქალზე ფიქრის მეტს არაფერს არ აკეთებს; ის შეუჩდება მოახლეს, ყოველ წამში ჰკითხავს—ქალბატონი როგორ მშვიდობით არისო, რას აკეთებსო და სხვ.; ერთი სიტყვით, ქალბატონის ყურამდი მიაწვევს ამბავი, რომ ის მოსწონს მეზობელ აფიცარსა. როცა აფიცარი შეიტყობს, რომ ქალის ქმარი შინ არის, მიდის თავის უცნობ საყვარელთან, უნდა გაეცნოს და ამასთანავე გამოუცხადოს, რომ ის სიყვარულით იწვება, რომ მეტი მოთმენა არ შეუძლია და სხვ. მაგრამ, შევა თუ არა საყვარლის სახლში, ცუდი ბურნუთისაგან ცხვირი უწყებს დაცემინებას და მინუტში თხუთმეტჯერ, ოცჯერ კი დააცემინებს, ასე რომ ორი სიტყვის ერთად წაბმას ვერ ასწრობს, ვეღარც თავის სიყვარული განუცხადებია და ვერც სხვა ვერაფერი უთხრობია; ქალი ჯაერობს; იმას ჰგონია მეცინისო; აფიცარი დაიჩოქებს, უნდა საქმით გამოაჩინოს მაინც სიყვარული. ამ დროს შემოდის ხარხარით ქმარი, ყველანი აირევიან; აფიცერი უხშირებს ცხვირის დაცემინებას, ცოლი გაკვირებით უყურებს ამ სცენას.

უარაიაზის მინდორი

ვისაც მამული არა აქვს, ანუ ნაკლები აქვს, უნდა შევატყობინოთ სასიამოვნო ამბავი, რომ მამულის მოპოება შეიძლება უარაიაზის მინდორზე. ჩვენში ეგონებათ მსურველი,—მეთები, რომელნიც სამადლო ადგილების შაგირდებს გაუკეთებიათ, ან სხვას შეუწირავს იმათ სასარგებლოთ; ნება არა აქვთ ლოტარეიაში ათამაშონ ფულები, ან სარგებლიანი ბილეთები; 3) 10,000 მანეთზე ზევით ლოტერეია არ უნდა ითამაშონ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაჩუქარ სახლს, ანუ მიწას ადგენენ ლოტერეიაში; 4) ყოველი ლოტერეის ნების დართვაზე თხოვნა უნდა მისცენ შინაგანი საქმეების მინისტრსა და მერე იმან უმაღლეს დასამტკიცებლათ უნდა წარადგინოს; 5) სრულებით აუკრძალონ იმ ლოტერეის თამაშობა, რომელსაც აქვს საგნათ ახალი სამადლო სახლების აშენება, სარგებლის მიცემა რომელიმე ვალისა, ანუ ვალის გადახდა ამნაირი სახლებისა და სხვ.—მკლესიისა და უცხო ქვეყნის საზოგადოების სასარგებლოთ ლოტარეიები დაშლილი უნდა იყოს, რადგანაც ესენი სრულებით წინააღმდეგნი არიან კანონისა.

ჩვენ ეგები არა გვაქვს, აიბობენ „პეტერბურღის უწყებაები“ რომ უფ. მინისტრის წინადადებას უთუოთ მიიღებენ სახელმწიფოს რჩევაში და კანონის ძალასაც მისცემენ იმას

ბატონება თუ გლეხი, ბევრი გამოჩნდეს, და ამიტომ საჭიროა, რომ დროზე დაეშურნენ Უარაიაზის მამულებსა, თორემ მალე დაიჭერენ და ვისაც უფრო ეჭირვება, იქნება ცარიელები დარჩნენ.

რამდენიმე წელიწადია, რაც Უარაიაზის მინდორში წყალი გაიყვანეს. ბევრს უნდოდა ამ ადგილს მამულები ეშოვნათ, მაგრამ ერიდებოდნენ იქაურ სიცხეებსა: გაგონილი ჰქონდათ Უარაიაზის ჰაერის ამბავი. Ეხლა, რადგანაც წყალია გაყვანილი და ბევრგან ხეებიც დაურგავთ, ჰაერი უეჭველია შეიცვლება და ადგილიც გაკეთდება. Ამას გარდა ვისაც მამულის დაჭერა უნდა, შეუძლია ერთის წლით საცდელათ აიღოს, ნახოს ჰაერი, მიწა და წყალი და, თუ ჭკუაში არ დაუჯდა, შეუძლია თავი დაანებოს; ძალას არავინ არ დაატანს, რადგანაც ამ მამულის გამგებლობა თითო წლითაც აქირავებს. Შარშან ნიჩბისიდგან თექვსმეტი კომლი გლეხი გადმოსახლებულა, წყნეთიდგან და Ბევრეთიდგან ოცდა ათი კომლი. Თითო წლით აუღიათ მამულები და ეხლა რომ უნახავთ კარგი ადგილიაო, სამუდამოთ აქა სახლდებიან. Სხვებსაც ამ გვარათ უყვლას შეუძლიათ საცდელათ თითო წლით იქირაონ.

მამულები ეძლევა ქირით ერთი წლიდგან დაწყობილი ოცდა ათ წლამდინ შეკრულობის წერილითა. რაკი ვადა გათავდება, შემდეგ პირველათ ძველ მოქირავეს უნდა დარჩეს მამული, თუ იმასაცა ჰსურს. ქირა ძალიან არ მოემატება; ძალიან რომ მოემატოს ფასი მანეთზე ორშაურზე მეტი არ იქნება. Ითქვათ ერთი დღიური აქვს აღებული გლეხსა სამ მანეთათ; ვადის შემდეგ, ბევრი ბევრი რომ მოემატოს, ექვს შაურზე მეტი არ მოემატება და იქნება ქირა სამი მანეთი და ექვსი შაური.

ჩვენ ყური მოვკარით, რომ ზოგან სოფლებში გლეხები ამბობენ: გადავსახლდებოდითო, მაგრამ ხატს თავი როგორ უნდა დავანებოთო. Ეს ძნელი საქმე არ არის. ბანა არ შეიძლება იმ ხატის საყდარი ააშენონ, საცა დადგებიან. რაკი პატარა სოფელი მოშენდება, საყდრის აშენებაც ადვილია.

Უარაიაზის მამულებს ძალიან დიდი ქირა არ მოუნდება. Ზოგი ადგილის ქირა არის წელიწადში დღიურზე ორი მანეთი, ზოგის ორი და ნახევარი, დაზოგისა კი სამი მანეთი. Დღიურ მიწაზე მოდის ათი, თხუთმეტი კოდი; ფულათ რომ ვიანგარიშოთ-კოდი მანეთათ, ათი-თხუთმეტი მანეთი მოვა. მეოთხედზე ნაკლები დაჯდება წლის ქირა. Ამასთანვე უნდა ვსთქვათ, რომ ბაღიდგან უფრო მეტი ფასის მოსავალი მოვა და ბაღის მოსავალს გასავალიც ექნება, რადგანაც ქალაქთან ახლოს არის და გზაც კარგი ექნება.

Აქ დაწერილებით გადმოვთარგმნით Უარაიაზის ამბავსა, რომელიც დაბეჭდა უფალმა ხატისთვმა აქაურ რუსულ გაზეთის „Кавказа“ მე-71 ნომერში. „რადგანაც ბევრს ჰსურს შეიტყოს Უარაიაზის ამბავი და ზოგს არცკი უნდათ დაიჯერონ, რომ Უარაიაზში წყალი მოდის, ამისთვის საჭიროთ დავინახე მსურველებისათვის მეცნობებინა ამ მამულის გარემოების ვითარება.—წყალი გამოტანილია მტკვრიდგან, მიდის დიდ არხში და ჩადის ტბაში. Ეს ტბა თერამეტ ვერსზეა არხის თავიდგან დაწყობილი ტბამდისინ. Ამ დიდ არხში და ტბაში ეხლა ბლომათ თევზი მოშენდა. Დიდი არხიდგან თორმეტი გვერდის წვრილი არხები რომ მიდის, იმეებში წყალი მუშაობს, მინდვრების მოსარწყავათა.

„Ამ წელს იყო ნამუშავარი ადგილი სამი ათასი დღიური მიწა. Ამაში ათას ხუთას დღიურზე ყანა იყო, ექვსას ორმოცი დღიური ბოსტნათ იყო, ორას ორმოცი ბალათ, სამოც და ოთხ დღიურზე ენდრო ეთესა, ორმოც დღიურზე ბამბა, ქუნჯუთი და სხვა მცენარეები. პური ძალიან კარგი მოვიდა და ეხლა კიდეც მომკეს, ბოსტნებშიაც კარგა მოვიდა ბოსტნეული, მხოლოთ წვრილმა მატლმა ხახვი გააფუჭა და ახალი მოსული შეჭამა. ქალაქში რომ დიდი სეტყვა მოვიდა, Უარაიაზში სრულებით არა ყოფილა. Ენდროსი, იმედია, კაი მოსავალი უნდა მოუვიდეს ამის მომყვანს უფ. Შაბუროვსა. სათიბი ადგილები, რადგანაც ძალიან ირწყვის, კარგი ბალახიანია. უფ. Ილიაშვეიჩმა იქირავა ასოთხმოცი დღიური მიწა, მესამე გვერდის არხზე და მრთელ ამ მამულზე დარგო ხეხილი. Ეს ხეხილი გადაიტანა ქალაქის თავისის ბაღიდგან, რომელიცა აქვს Ილიაშვეიჩს მუშტაიდის ბაღთან ახლოსა. Ბევრი დიდი ხნის უწყლობისაგან გაფუჭებული და ნაავათმყოფარი ხეები ძალიან გაკეთდნენ Უარაიაზის მინდორში. რადგანაც Უარაიაზის მიწები ძალიან მომცემი, შავი და კარგი სარწყავი მიწებია, აქ გადარგულ ხეებს ძველ წამხდარ შტოების მაგიერათ ახალი კარგი შტოები გამოუვიდა, კარგათა ხარობს და ყვავილიც გამოიღო. Ბევრმა ხემ თითქმის ხილიც კი მოისხა. Ვაზიც კარგათ საკმაოთა ხარობს.

„Უფ. Ილიაშვეიჩის გარდა ქალაქის მოქირავეებმაც ბაღების გაშენებას ხელი მიჰყვეს, მაგრამ პატარ-პატარა ადგილებში.

„Უარაიაზის მამულების გამგებლობაც თავისის მხრითა ცდილობდა, რომ შეძლების დაგვარათ, შემწეობა მიეცა ხეების მოშენებისათვის. რადგანაც მზრუნველი მმართებლობა ნიეთიერათ ეწეოდა, გამგებლობამ 1868 და 1869 წლის წასულ ზამთარში დარგა სხვა და სხვა ნაწილებში ას ორმოცი ათასი ძირი ხე და ჯაგი. Დიდი არხის ნაარხები თითქმის მრთელ სიგრძეზე დარგულია ტირიფითა ოთხ რიგობაზედა. Დიდის არხიდგან მინდორზე Უარატაფისკენ, (შავ მინდვრისკენ) სადაც მამულის გამგებლობაა და სამოც და ათი კომლია დასახლებული, ამ ადგილას გზა მიდის ხუთი ვერსის სიგრძეზე და ორის მხრით ორ რიგობაზე დარგულია თუთის ხე, აგრეთვე ილანტუსის და აკაციის ხე. Პირველ თორმეტ გვერდის არხებზე თითქმის მრთელ სიგძეზე დარგულია ტირიფი და ჩინარი. Ამას გარდა ადგილ-ადგილას Უარაიაზის მინდორზე თუთის წვრილ-წვრილი ბაღებია გაშენებული. Ეს ხეები სულ გადმოტანილია Კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან ლოჰინის ხუტორიდგან, რომლის დირექტორმა Შივეგმა დიდი შემწეობა მისცა ამ სასარგებლო საქმის ასრულებასა. Ზოგი იმისი შაგირდები, ამ საქმეში გამოცდილები, თვალყურს ადევნებდნენ ხეების დარგვასა. Ხეებმა ყველგან გაიხარეს. Მერმისიდგან გამგებელობა კიდევ აწარმოებს ამ საქმესა და ტყის ხის გარდა, ხეხილებსაც დაარგვევინებს. Ტყის მოშენება, რასაკვირველია, ძალიან გააკეთებს Უარაიაზის მინდვრის ჰაერსა და მუშაობის დროს მუშა კაცს სიცხეში საჩრდილოებელი ადგილი ექნება და ისე მოკლებული არ იქნება, როგორც ეხლაა.

„Ამ ჟამად Უარაიაზის მინდორზე გაქირავებულია ექვსი ათასი(სამი ათ. დესეტინა)დღიურზე მეტი და გადმოსახლებულებმა შეადგინეს ექვსი პატარა სოფელი; სულ ას ოთხმოცდა ერთი კომლია; თექვსმეტი ნიჩბისის ქართველი გლეხები, მესამე არხზე; სამოცდა თორმეტი კომლი შეშალინის თათრები, მეოთხე არხზე; ოცი კომლი Თაქლინის თათრები-მერვე არხზე; აგრეთვე ამ არხზე ცხრა კომლი ნახჩევნის სომხები და ყიზილბაშები; ცამეტი კომლი სოლალულის თათრები—მეცხრე არხზე; ოცდა თორმეტი კომლი აისორები—მეათე არხზე და ცხრამეტი კომლი Ჯანდარის თათრები ტბასთან არიან დასახლებულები. შემოდგომას გადმოსახლდებიან ოთხმოცი კომლი Ქესალინის თათრები მეთერთმეტე არხზე და ოცდა ათი კომლი წყნეთის და ბევრეთის ქართველი გლეხები მეშვიდე არხზე; წელს ამათა ჰქონდათ ნახნავები და, რადგანაც კარგი მოსავალი მოვიდა, გადასწყვიტეს, რომ სამუდამოთ Უარაიაზზე დასახლდნენ. ბალაქის მოქირავეები თავისის მოურავებით იყვნენ თერთმეტნი. ბალაქის მოქირავეების დაჭერილი ადგილები არის ზომით ოცის ღიურიდგან ას ღიურამდე და ამ ადგილებში მოშენებულია უფრო ბაღები და ბოსტნები. Შარშან შემუშავებული ადგილი იყო ათას ორასი ღიური; წრეულს, როგორც ესთქვით, სამი ათასი ღიურია.

„Უარაიაზის მინდორზე ადგილის ქირისათვის ეს პირობაა საჭირო: პირველ ოთხ არხის მიწებში ღიურზე წელიწადში სამი მანეთი. Ეს მიწები სულ დაჭერილია ბალაქის მოქირავეებისაგან. Მეოთხე არხიდგან მეთექვსმეტემდის, ტყიან ადგილს მტკვრისაკენ—ორი და

შემდეგ ფარდა ჩამოიშვება და წარმოდგენა თავდება.— Მთელი ვოდევილი ამ ცხვირის დაცემინებაზეა დამყარებული; უ. Ფეოდოროვი, რომელიც აფიცრის როლს არდგენდა,ძალიან კარგათ აცემინებდა ცხვირს, ასე რომ პუბლიკა სიცილით დაიხოცა.—Საზოგადოთ მუშთაიდში საზაფხულო წარმოდგენები გვარიანათ მიდიან; არდგენს უწინდელი რუსის თეატრის ტრუპპა. Უველაზე უფრო მუშთაიდში იყრის ხალხი თავს მაშინ, როცა აფიშაში გამოცხადებულია, რომ მენცელები იცეკვაენო. Ჩვენი ხალხი ესტეტიკური სიტკბოების მოყვარეა; რა გასაკვირველია, რომ იმას იამება მენცელების მშვენიერი ფორმების ცქერა, განსაკუთრებით თუ ეს ფორმები ნათლად სჩანან.—Ჩემ გვერდში ერთი ქართველი, თუ სომეხი იჯდა; როცა Ელისაბედ მენცელი გამოვიდა სცენაზე ფანტასტიკური ტანისამოსით, რომელიც მაგდენათ არ უშლიდა იმის მშვენიერი ფორმების დანახვას, ჩემმა მეზობელმა ვერ მოითმინა და უნიბლიედ წამოიძახა: „ა, ჯან!“ Ოველთვის, როცა კი მენცელი თავისუფლად და არტისტიკურად გაიშვერდა ფეხს, მეზობელი წამოიძახებდა „ა, ჯან“! Ბალეტი, რასაკვირველია, კარგი რამ არის: ის გვიჩვენებს ჩვენ-რამდი შეუძლია მიაწიოს კაცის ვარჯიშობას, სიმარჯვეს და ხელოვნებას; მაგრამ იმ ბალეტში, საცა ქალები და განსაკუთრებით, საცა ლამაზი ქალები ცეკვავენ, მე ჩემის აზრით არ ურჩევ სიარულს ყმაწვილ-კაცებსა; მოხუცებულებს კიდევ მიეტევებათ, რადგან ისინი ჭკუა და ენება დამდგარნი არიან და იმათზე ბალეტს მაგდენი გავლენა არ ექნება!—

Უველაზე უფრო მე გამაკვირვა ცალფეხა Დონატოს ცეკვამ და იმის სიმარჯვემ; ცალი ფეხით ის დაიარება მშვენიერად, რა ნაირათაც გინდა ცეკვავს, დახტის და სხ. (რასაკვირველია უჯობოთ). Ისეთ ჩხუბს გამართავს, რომ შეგეშინდებათ: წარმოიდგენს ვითომ სცენაზე მტრები არიან, დაუწყებს იმათ თოფის სროლას, ლეკურით ცემას, გარდახტება, გაიქცევა და სხვა; ისე მარჯვეთ მე, რო თხუთმეტი ფეხი მებას, მგონი ვერც მაშინ გაეინძრა გამოეინძრე.—

Სურის ცირკში ახალი ბევრი არა არის რა; პირველად კი სხვა და სხვა რამეებს არდგენდნენ და სხვა და სხვა ფოკუსებს უჩვენებდნენ; მაგრამ მერე ისევ თავიდან დაიწყეს, ასე რომ ეხლა უფრო ხშირად ერთსა და იგივეს არდგენენ; განსხვავება მგონია მხოლოდ აფიშების გამოცხადებაშია.—მართალი გითხრათ—იქაური არტისტების წარმოდგენას გულ გრილად ვერ უყურებ მე; რასაკვირველია, სასიამოვნოა დანახვა ადამიანში ამ სიმარჯვისა და ამ რიგათ სხეულის გაწრთვნისა, მაგრამ, როცა იმათ უცნაურ გრეხასა და მანჭვას შეეცქერი, მე არას ოდეს არ მომდის თავში სანუგეშო აზრები; უნებლიედ ეფიქრობ იმაზე თუ—რა ძვირად უჯდება ზოგიერთებს ლუკმა პურის მოპოება; რამდენ ნაირად უნდა იწვალოს, რამდენ ნაირად უნდა იტანჯოს კაცმა ხშირად—რომ შიმშილმა არ შეაწუხოს.

Სწორეთ მოგახსენოთ Სურის ცირკში მე ძალიან მომწონს ვირის წარმოდგენა და მისი გონივრული ქცევა.—Იცით-როგორ ადიდებენ ამ ვირსა?—Აფიშაში ამ ღრმა აზროვან ცხოველს უწოდებენ სახელად „ვირი ფილოსოფოსთაგანიო“. Ერთმა ჩემმა მეგობარმა ეს ორი სიტყვა მოაბრუნა, ერთი მეორეს ადგილზე დასვა და ისე წარმოსთქვა; წარმოიდგინეთ-რა გამოვიდა! Ამ დროს რომ იქ რომელიმე ნამდვილი ფილოსოფოზი დასტრებოდა, რალა ლაპარაკი უნდა, ჩემ თავხედს მეგობარს მოხვდებოდა-ჯოხი თუ არა, კალამი მაინცა.—

Მართლადაც Სურის ვირს ბევრი ფილოსოფიური თვისებაები აქვს; მაგალითად, ბრძნული, თავმომწონე სიარული, და მიხრა-მოხრა, ამაყად თავის დაკვრა, ჭინიანობა, წიხლის სროლა და სხ.—Ის თავის დღეში ისე ერთს ფეხს არ გარდაადგამს, თავის დღეში კუდს არ გაიქნევს ისე, რომ ამ ფეხის გადადგმაში და კუდის გაქნევაში რომელიმე ღრმა აზრი არ გამოხატოს.—Თავს ისე გიკრავს, ჩემო ბატონო, თითქო გეუბნება—შეიტყვეთ ჩემი თავის დაკვრის ფასიო! Ვირის ჭინიანობა ხომ გათქმულია; მაგრამ Სურის ცირკის ვირი საოცარი რამ არის: ერთხელ თუ დაიჭინა რამ, მშვიდობით! Ათასი რომ ეცადოთ, ათასი რო მოეფეროთ, მთელი სინი ფლავი რო მიართვათ, მაინც არ გაადგამს ფეხს!.. Ოცჯერ კი მოინდომა ერთმა Სურის მხედარმა იმაზე შეჯდომა, მაგრამ ოცივეჯერ, შეჯდებოდა თუ არა, იმ წამსვე ყირამალაზე დასცემდა ძირს; (შეადარე ფილოსოფოსთ პედანტობას).—Ერთი სიტყვით ეს „ფილოსოფოსთაგანი ვირი“ ბევრად შესანიშნავია, მე მგონია შეურაცხვყოფ და ვამცირებ იმის ღირსებაებს, როცა ასე მსუბუქათ, ფელეტონში ვეხები მე იმას.—

ლაზ. მეხ.—შვილი.

Თბილისი 1869 წ.
8 ივლისს.

სცენა პეტერბურგის მომრიგებელ მოსამართლესთან.

(რუსულით).

Მაჭარი, გოგო და ორი მწერალი.

Მაჭარს გაელანძღა გოგო და ამას ეჩივლა.

Მოსამართლე (მაჭარს). Მართლა, უფ. მ., თქვენ გალანძღეთ ეს ქალი?

Მაჭარი. Მგონ კეთილშობილი არ არის.

Მოსამართლე. Ეს სულ ერთია. Მაშ მართალია?

Მაჭარი. Მე არა მაქვს დრო მაგისთანა უბრალო საქმეები დავიხსომო. Ვინ იცის-ხანრას ვამბობ; ყველა სიტყვა სად დავიხსომო?

Მოსამ. Ეს მართალია, მაგრამ მგონია დაგახსონდებოდა-ვინ გაგილანძღავს თუნდა ამ ერთი წლის წინათ.

Მაჭ. Რასაკვირველია, თუ ნაცნობი ვინმე გამილანძღამს. Და თუ ამ მოსამსახურებს იტყვით, მაგათ მგონია, ყოველდღე ხუთჯერა ვლანძღამ. Და თუ არ გავლანძღამ, კეთილსაც ვერა ვნახამ; მაშინ უნდა დაეკეტო სახლი და გავიქცე სადმე. Ზოგი კიდეცა სცემს.

Მოსამ. Მგ კი არ შეგიძლიანთ, უფალო.

Მაჭ. Მე ცემა არ მიყვარს; ვერ-ვის დავკრამ.

Მოსამ. Არც ურიგო სიტყვებით ვისიმე გალანძღვა შეგიძლიანთ.

Მაჭ. Ვერც მოსამსახურისა?

Მოსამ. Არაფისი.

Მაჭ. მაშ ახლა მაგათ თავი უნდა დაუკრათ, რაღა? Ურიგობა რომ შევატყოთ...

Მოსამ. შეგიძლიანთ დაითხოვოთ, უჩივლოთ...

Მაჭ. Ძარგია! Ზოგი რომ სულ ღარიბი იყოს და დავითხოვო, ხომ უნდა მთხოვრო-

ათი შაურიდღიურზე; მინდერის ადგილს დიდის არხის ნაპირას ორი მანეთი დღიურზე. შეკრულობით შეკრება შეიძლება ერთის წლიდგან ოც წლამდინ. შეკრულობის ვადის შესრულების შემდეგ, მამულის გამგებლობა ვალდებულია ხელმეორეთ განაახლოს შეკრულობის წერილი იმავე მოქირაეესთან; მხოლოთ უფლება ექნება, რომ ქირა მოუმატოს, მაგრამ არა უმეტეს მეათედის ნაწილისა, ეხლანდელის ქირისა, ესე იგი მანეთზე ორი შაურის მეტის მომატება არ შეიძლება. ვინც ერთიანათ დაჭერილ მამულზე ბაღისა და თუთის მოშენებას აპირობს, ქირა არ გამოერთმევა სამ წელიწადს, იმ ჟამიდგან, როდესაც დაიწყება ხეების დარგვის მუშაობა.

„ვისაც სურს უფრო დაწვრილებითი ამბავი შეიტყოს, შეუძლიან მივიდეს Ყარაიაზის მამულების გამგებელთან Ივანე სტეფანეს ძეს ხატისოვთან, რომელიც სცხოვრებს ბაღების ქუჩაში, Გაბრიელ შადინოვის სახლში.

„ დიდი არხის თავი ქალაქზე ოცდა ექვს ვერსზეა. Უფრო უკეთესათ მისვლა-მოსვლისათვის ქალაქიდგან Ყარაიაზში მისი Შმაღლესობის ნამესტნიკის ბრძანებით მტკვარზე ხის ხიდი კეთდება, Იაღლუჯის სტანციის პირდაპირ შოსსეს გზის შესაერთებლათ. ეს ხიდი იქნება ქალაქიდგან ოცდა ხუთ ვერსზე. შემოდგომაზე ეს ხიდი უნდა იყოს გაკეთებული“.

ჩვენის მხრით, კიდევ დაუმატებთ, რომ ჩვენში მსურველები უნდა დაეშურნენ Ყარაიაზის მამულების ქირით დაჭერასა.—

პოლიტიკა.

ანგლია.

ლონდონი, ივნისის 13-ს (25). საზოგადოების პალატას მისცა ანგარიში კომმისიამ, რომელიც არის გამართული დედაკაცების და ყმაწვილების მდგომარების გამოსაკელევლათ; ეს დედაკაცები და ყმაწვილები ეკუთვნიან სასოფლო სახლოსნობაში მომუშაეთა. უფ. შაუსეტმა მიაქცია პალატის ყურადღება ამ საქმეზე.—ამისი აზრით სოფლის მუშაკები ისე უცოდინარები და გაუნათლებლები არიან; რომ თხოულობენ უთუოთ მმართებლობის მხრით დიდ შემწეობასა ამ საქმეში. Ის ურჩევს პალატას, რომ შემდეგის პალატის ყრილობისათვის მომზადდეს პროექტები სოფლებში შკოლების გამართვისათვის. Ორატორმა აგრეთვე მოითხოვა, რომ ხალხი უნდა გაეხადოთ ვალდებული რომ თავიანთი შვილები უთუოთ გაგზ ენონ შკოლებშიო; იმან გამოსთქვა სურვილი, რომ ყმაწვილები ათ წლამდინ ყანებში არ მუშაობდნენო. Ათი წლიდგან ცამეტამდინ უნდა იარონ შკოლებში კვირაში ორჯერ, ან სამჯერ, ან რომელიმე ერთს დროსაო წელიწადში. Ამასთან შაუსეტი თხოულობდა, რომ სოფლის ყმაწვილებს პირველი, ელემენტარული განათლება მიეღოთ, რადგანაც ეს ყველა კაცს უნდა ჰქონდეს, ვინც თავისუფალს და განათლებულს სახელმწიფოში არის დაბადებულიო.

ლორდი ქაევენდიში ამ აზრების თანახმა იყო.—კომმისიის აღწერაზე უფ. რიდელიმ სთქვა, რომ იმისი შეგროვებული ცნობები ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ უთუოთ აქაც ისეთი კანონები უნდა გამოვცეთ, როგორც ფაბრიკების მუშებისათვისაო. Ამასთან ისეთი საშუალება უნდა მივცეთ სოფლის მცხოვრებლებს, რომ იმათი ყმაწვილები არ ეროდნენ მუშაობაშიო; ისიც კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოფლის ხალხს ზნეობითი თავისუფლება არ წაერთოს და არ დაივიწყოს თავისი ვალდებულებაო.

შინაგან საქმეთა სახელმწიფოს სეკრეტარმა აქო უფ. შაუსეტი აზრები, მაგრამ სთქვა, რომ ძალიან ძნელია ხალხის მოქმედების თვალის დევნებაო. Იმისი აზრით წელიწადში ორი ან სამი თვის განმავლობაში სწავლა არაფერს სარგებლობას არ მოუტანს; რასაც ორ—სამ თვეში ისწავლიან, ის დანარჩენ ცხრა თვეში სულ დაავიწყდებათო. მაგრამ მაინც ამ საქმეს აძლევს დიდ მნიშვნელობას და თხოულობს იმის გადაწყვეტას. Ეს კი, რომ მმართებლობა ვერასფერ ვალდებულებას შემდეგი პალატის შეყრილობისათვის ვერ მიიღებსო. Დასასრულში სახელმწიფოს სეკრეტარმა სთქვა, რომ როგორც კომმისიის შრომა, აგრეთვე პილატის წინადადება გაიშინჯებიან მმართებლობისაგანაო. უ. ბენლეიმ სთქვა რომ, უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება სოფლელების ყოფა-ცხოვრებას და გაუნათლებლობას, მაგრამ ყურადღების ღირსია აგრეთვე ქალაქში მცხოვრები მუშების ოჯახები, რომლებიც ხშირად სიღარიბისაგამო მარტო ერთ ოთახში დგანან.—

შაუსეტმა წაიღო უკანვე თავისი წინადადება.—

ფრანცია.

ლუარის დეპარტამენტში მოხდა დიდი ჭექა ქუხილი და დიდი სეტყვაც მოვიდა. ქურტენეისის მაზრაში კარგი ყანები იყო, მაგრამ სულ სეტყვამ გააფუჭა. სოფლის საზოგადოებაებში: შაპელში, მერენვილლ, ლუზუე, ბოზოსში, სენ-ლუ-დე—ბონოაში და სენ-სურბიეში მთელი ნახნავები სულ დასეტყვა. დაიწყო ექვს საათზე და ნახევარ საათში ეს ამოდენა ალაგი—მინდერები და ვენახები სულ დასეტყვილი, ქარისაგან დამტერეული და წვიმისაგან წაღებული იყო. ქაკლის ტოლა სეტყვა ცვიოდა და ფანჯრები სულ დაამტერია. ქარმა სახლის სახურავები სულ აშალა და წაიღო. რამდენიმე კაციც დაჰსჭრა. მინდორზე სეტყვამ ბევრი ფრინველი და კურდღლები დახოცა. დიდ ძალი ზარალი მიეცათ იქაურ მცხოვრებლებს ამ ქარიშხალის და სეტყვისაგან. ზოგიერთს ადგილებში აგროვებენ ფულს დაზარალებულების შესაწევნელათ. მინდრის და ლუარის დეპარტამენტებშიაც რამდენიმე სოფლები დააზარალა სეტყვამ.

ისპანია.

მადრიდი, ივნისის 29-ს. Ახალმა უცხო ქვეყნის საქმეების მინისტრმა ორ მილლიონ რეალამდინ *) შეამოკლა ხარჯი, მაგრამ შემოკლება ჯერ არ არის დამტკიცებული. Იმან მოშალა ზოგიერთი თანამდებობაები შინაგანი სამმართველოსი; გარდა ამისა სურს რომ Ათინაში, ბერნში, პოპენგაგენში, ბაგში და პეტერბურგში აღარ იყვნენ Ისპანიის ელჩები და სხვა ელჩებზედაც უნდა შეამოკლოს ხარჯი.

— საადმირალოს (ზღვის საქმეების) სეკრეტარი Არიასი იყო გაგზავნილი გერცოგ Მონპანსიესთან ადმირალი Ტოპეტესაგან; ლაპარაკი არის, რომ ამ ცოტა ხანში თითონ Ტოპეტე ნახავს გერცოგსაო. მაგრამ რესპუბლიკელებს ძალიან ეჯავრებათ Მონპანიეს Ისპანიაში ყოფნა.—ხვალ რეგენტს სერრანოს ექნება დიდი სადილი დიპლომატიის კორპუსისათვის; ამ სადილზე მინისტრებიც იქმნებიან.—Გვარწმუნებენ, რომ კარლისტების გენერალი Აბრერა ემზადება ომის დასაწყებათაო; იმას დაუკვეხნია, რომ ომს დაიწყებ თუ არა ექვსი კვირის უკან უთუოთ მადრიდში შევალო.—

— Ივლისის 2-ს. Შინაგანი საქმეების მინისტრმა სთქვა დღეს Ქორტესებში, რომ Ანდალუზიაში გაჩნდნენ აეზაკები, რომელნიც აოხრებენ სოფლებსაო. Იქ გაუგზავნიათ ჯარი და მმართებლობას იმედი აქვს მალე მოუსპოს ყველა გზები, ასე რომ იმათ აღარ შეეძლოთ ვნება ხალხისაო.

Პარიჟი, ივლისის 1—ს. Სენტ—Ეტიენიდგან იწერებიან აქაურ გაზეთებში, რომ გუშინ საღამოზე შახტის მაღაროებში მოვიდა 20 კაცი მუშებთაგანი და ცდილობდნენ მუშაობა შეეყენებინათო; რვა კაცი იმათგან ჟანდარმებმა და დრაგუნებმა დაიჭირეს და Სენტ—Ეტიენში გაგზავნეს. Ახლა აქ მუშებმა ისევ მოჰკიდეს მუშაობას ხელი; იმათი რიცხვი იქნება 650-დგან 700-მდინ.

Ივლისის 2-ს. Ბერცოგი სესტო მალ-მალ მოგზაურობს მადრიდსა და პარიჟის შუა; გვარწმუნებენ, რომ ის იმ აზრით მოგზაურობს, რომ Ისპანიის ტახტი პრიცს ნაპოლიონს გაურიგოსო.—

პორტუგალია.

ლისაბონი ივნისის 20-ს (ივლისის 2-ს) Ლისაბონში მიიღეს ცნობა, რომ Აზორის კუნძულებზე არეულობა მოხდაო; მიზეზი არეულობისა ის ყოფილა, რომ იქაურ ხალხზე მძიმე ხარჯი დაუდვიათ. მოჯანყეებს დაუწვავთ ხარჯის სიები.

---

*) Ისპანიური „რეალი“ ჩვენ ექვს კაპეიკსა და ნახევარს ეთანასწორება.

ბა დაიწყოს... ზოგი მადლობელიც არის ჭკვაზე დარიგებისათვის. Აი, ბატონო, ერთს ამბავს მოგახსენებ, რომელიც გუშინწინ ჩემ თავზე გამოვცადე. Ის წყეული ჩემი კუჩერი გამსქდარიყო არაყით და ცხენი დაეკოჭლებინა. მივდივარ ფაბრიკაში და ცხენი კი თხასავითა ხტის.—Ეს რა ამბავია, Შილიპე მეთქი;—ხმას არ იღებს. Დამაცადე—ვიფიქრე. ჩავედი შინამდინ და ისეთი შოლტები დაუხატე ზურგზე, რომ, ეგონებ, სიკვდილამდე არ დაავიწყდეს. Უყურებ—Შილიპე მოდის მეორე დღეს და მუხლებზე მკოცნის: „Დიდათ მადლობელი ვარ შენი, ბატონო; იქნება ამის შემდეგ დავივიწყო სმაო“. Მადლობა მითხრა. Აი ახლა გაარჩიეთ თქვენ სამართალი. რო გამეგდო—უბედური კაცი შეიქმნებოდა, იქნება ავაზაკობაც დაეწყო.

მოსამ. Ეგ ამ საქმეს სრულებით არ შეეხება. მე მხოლოთა გკითხავ-გაგილანძღავს ეს ქალი, თუ არა?

ვაჭ. როგორ არა, მე ყველა მოსამსახურეს ვლანძღამ.

მოსამ. რა სიტყვებით გალანძღეთ?

ვაჭ. მე ერთი ლანძღვა ვიცი: თქვე ლოთებო, ტყუილა მჭამლებო მეთქი.

მოგო. Არა, მაგან საძაგელო და წუწკო მითხრა.

ვაჭ. სტყუის.

მოგო. მოწმები მყავს.

ვაჭ. რა დიდი საქმეა! თუ გინდა სამ მანეთათ სამ მოწამეს მოგიყვან.

მოსამ. Უბრალო ლაპარაკს თავი დაანებეთ.—

ვაჭარი. Ტყუილი არ გახლავთ, ბატონო; მაგალითი გვინახამს.

მოსამ. რაუყოთ რომ, ყველაფერი ხდება.

1-ლი მწერალი. Დავიფიცავ, თუ ამას ვტყუოდე: მე თითონ გავიგონე ეგ სიტყვები. მე მაგათზე (უჩვენებს ქალზე) დანიშნული ვარ, ერთ კვირის უკან ქორწილი გვექნება. მივედი მაგათთან და გავიგონე ის სიტყვები; მერე უბრალოთ ეუბნებოდა, რადგანაც მე თითონ ვიცნობ მაგათ ყოველის მხრით. Უშველეთ, უფალო მოსამართლევ, საწყალს ქალს.

2—რე მწერ. Მეც მაგასთან ვიყავი, და მეც შევიტყე, თუნდა ფიც ქვეშ ვიტყვი. რადგანაც მე მაგ ქალის მეჯვარე ვარ, ძალიან მეწყინა; ეს დიფამაციაა!

ვაჭ. რაო.

2—რე მწერ. Დიფამაცია.

ვაჭ. მაშ მაგრე, დიფიმაცია.... ხა, ხა, ხა! სულელები!

1—ლი მწერ. ჩვენ არ გეხუმრებით.

ვაჭ. Არც მე ვხუმრობ, Ეგ სიტყვა საიდგან წაგიგლეჯია; მე ჩემ ღღეში არ გამიგონია—მგონია მეც ხალხში დავდივარ.

მოსამ. Ეგ არის ლანძღვა, უპატიურობა.

ვაჭ. მაშ ეგები გაუპატიურებისათვის მთხოვენ, რაღა? მჟავეა, კაპეიკს არ მიეცემ!

მოსამ. Ჯერ თქვენ არაფერს არა გთხოვენ.

ვაჭ. თუ ეგენი ღარიბი ხალხნი არიან და უნდათ ქორწილის გამართვა, მაშინ მოვიდონ ჩემთან სათხოვნელათ, როგორც ამის, წესია, თავის-კვრით. მე მიყვარს შეწევნა. თუ არა, ხედამ, რა ნაირათ ძაღლობენ. რაღაც დიფიმაცია შეუთხზამთ. ჩხუბზე იწევენ.

მოსამ. ნუ ყბედობთ უსაფუძვლოთ.

1—ლი მწერ. რა ძალიან კვეხულობთ თქვენ ფულებს? ჩვენ ჯერ არ დაგვითვლია! თქვენი ფულები თქვენთვისვე შეინახეთ,

მოსამ. Ერთი მოკრჩით საქმეს, მე ხომ არ შემიძლიან მარტო თქვენთან ლაპარაკი. (ვაჭარს) როშელის უფლებით გალანძღეთ ეს ქალი, უფ. მ?

ვაჭ. ჰსჩანს, რომ ღირსი იყო. მე ტყუილათ არ გავლანძღამდი.

მოსამ. როგორ თუ ღირსი იყო?

ვაჭ. რაღა როგორ თუ? ბავლანძღე და მოერჩი; ახლა ხომ უკანვე ველარ დავიბრუნებ; ამას რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა? მე კიდეც დამავიწყდა.

მოსამ. თქვენ გატყდით; მაშ შემიძლიან ახლავე გავათაო. (ქალს) თქვენ არა გსურთ—როგორმე შერიგდეთ?

ქალი. ხმას არ იღებს.

სასიძო მწერ. ჩვენ გვინდა, რომ უფ. ვაჭარმა ბოდიში მოითხოვოს თავის სიბრიყეზე.

ვაჭ. შენ მოგთხოვო ბოდიში.

სასიძო. Არა, ამას. (ქალზე).—

ვაჭ. ბოგოსა?

მოსამ. Ბთხოე, ზრდილობით ილაპარაკოთ.

ვაჭ. დავაშავე, ბატონო. როგორ შეიძლება, რომ მე ამას ბოდიში მოვთხოვო?

მოსამ. თუ გინდათ საქმე გაათაოთ, მოსთხოვეთ ბოდიში. ხომ გაგილანძღავთ, მაშ ბოდიშიც მოსთხოვეთ.

ვაჭ. სჯობს უბოდიშოთ გავათაოთ საქმე.

სასიძო. Უბოდიშოთ არ იქნება.

ვაჭ. Არ გესმის, არ მოვთხოვ მეთქი ბოდიშს. მე არ შემფერის ეგა.

მეჯვარე. Შმაგისოთ ჩვენ თანახმა არა ვართ.

ვაჭ. Შენ ვინა გკითხავს; სადაური ხარ?

მწერ. Მოწმე ვარ.

ვაჭ. მე შენ ვერ გიცნობ.

მოსამ. (მეჯვარეს). Დაგვაცალეთ ლაპარაკი მე და უფ. მ-ს. თქვენ ახლა შეგიძლიანთ წახვიდეთ.

სასიძო. მეც?

მოსამ. Მოაჯარს გარეთ მოიცადეთ. (ვაჭარს). Გაათავეთ როგორმე უფ. მ.

ქალი. Ბოდიში მთხოვეთ და გაპატიებთ.

ვაჭ. Ოჰ, არა უნდა დაეჩუმდე. უფ. მოსამართლევ, დამადეთ რამ ჯარიმა. Ვაძლევ გაუპატიურებისათვის.

ქალი. ჩემთვის ფული საჭირო არ არის.

მოსამ. Ტყუილათ კერპობთ უფ. მ. თქვენ ადგილას აქამდინ ყველა პატიოსანი კაცი მოითხოვდა ბოდიშს. სხვა რაღა გინდათ, რომ თქვენი დანაშაული მაგრე ადვილათ გაათავოთ. მე გირჩევთ—ბოდიში მოსთხოვოთ.

ვაჭ. მე ნაცნობები მყავს, შეიტყობენ, სირცხვილია.

მოსამ. Არა უშავს რა. Უფრო კეთილშობილობა არის.

ვაჭ. მერე ახლა დაიწყეს სულ გაზეთებში წერა. მთელს ქალაქს მოედება ამბავი. Აგე ვიღაც ახალგაზდა ზის და სწერს, უთუოთ გაზეთისათვის. (პუბლიკა იცინის). უბძანეთ მაინცა გაზეთში არ ჩამწერონ!

მოსამ. Ეგ ჩემი ნება არ არის. Გაათავეთ.

ვაჭ. (ქალს). ნუ გწყინს, მარო; რა დასახსომია მაგისთანა უბრალო საქმეები. ნუ ჯაერობ?

ქალი. Ეგ ჩემი საქმე არ არის! ბოდიში მომთხოვეთ და გაპატიებთ.

მოსამ. რა ნაირი ჰყოფილხარ, გეძნელება სთქვა უკაცრათო.

ვაჭ. ჰა მაპატიე. Უ—კაც—რა—ოთ!

(პუბლიკაში ღიმილია).

ვაჭარი მიდის და სტენოგაფსა სთხოეს, რომ გაზეთში არ გამოაცხადოს იმისი ამბავი.—

იტალია.

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა, ი ვ ნ ი ს ი ს 20-ს, (ივლისის 2-ს). კომმისიას, რომელიც თამბაქოს საქმის გამოსაძიებელად არის დანიშნული, ჰქონდა პირველი სხდომა ივნისის 19-ში. ამ დღეს კომმისიამ მოისმინა ჩვენება დეპუტატებისა: ლაბბიასი. კრისპისა, შამბრისა, ბრენისა და ბიენისა და მერე ჰკითხა რამდენიმე სხვა მოწმებს.

ავსტრია.

ვ რ ა გ ა, ი ვ ნ ი ს ი ს 15-ს (27). ვენგრულ აფიციალურ გაზეთში არის დაბეჭდილი იუსტიციის მინისტრის განკარგულება—ტუსაღანაში დაჭერაზე იმ პირთა, რომლებიც იქნებიან შემდეგში დამნაშავენი ბეჭდვის საქმეში. ამგვარ ტუსაღებს ჩასვამენ შემდეგში ვეიცენის გასაწვრთნელ სახლში, სადაც იმათ ექმნებათ ნება თავიანთი საკუთარი სადილი იქონიონ, ავათმყოფობის დროს მოიწვიონ თავიანთი ჰექიმი; შეუძლიანთ სთხოვონ იუსტიციის მინისტრს მოსარჩენად წყლებზე წასვლის ნების დართვა. მნახველებს უშვებენ იმათთან 10 საათიდგან თორმეტამდი და 3-დგან 5 მდე. ტუსაღებს ექმნებათ ნება ისეირონ იქაურ ბაღში დღეში რვა საათი: ოთხი დღისით და ოთხი საღამოთი. იმათ შეუძლიანთ იქონიონ მიწერ-მოწერა, მოატანინონ წიგნები და ჟურნალები და რომელი საქმეც უნდათ, ის აირჩიონ.

ტელეგრამმები

(პეტერბურგში მიღებული)

მ ა დ რ ი დ ი, ი ვ ნ ი ს ი ს 17-ს (29). დიდი უთანხმობა გამოვიდა გენერალ პრიმსა და უფ. შიგეროლას შუა. ამის გამო უფ. შიგეროლამ და იმასთან სამინისტროს ყველა წევრებმა, ალმირალი ტოპეტეს გარდა, მოითხოვეს სამინისტროდან დათხოვნა.—ახალი კაბინეტი მაშინ შესდგება, როდესაც შემოსავალ-გასავალზე ლაპარაკი გათავდება. პორტესების მომეტებულმა წევრებმა უთხრეს უფ. პრიმსა და ტოპეტეს, რომ ჩვენ სრულებით გენდობითო.

— 18-ს (30) ი ვ ნ ი ს ს. სამინისტროში უთანხმობა დამშვიდდა, და კაბინეთი ისევ შეუცვლელათ რჩება. ბენერალ პრიმმა გამოსთქვა სინანული იმაზე, რომ უფ. შიგეროლასთან მოუხდა უთანხმობა იმისთანა უბრალო საგანზე.

პ ა რ ი ჟ ი, ი ვ ი ს ი ს 19-ს (ივლისის 1). ამტკიცებენ, რომ უფ. ოლივე, სეგრი და ბიუფფე—წევრები საშუალო პარტიისა, შეიტანენ კორპუსში მოთხოვნილებას, რომ მმართებლობამ მისცეს ძალონმდებელ კორპუსს ისეთი მნიშვნელობა, რომ შეეძლოს უფრო დიდის უფლებით იმოქმედოს იმათი ქვეყნის საქმეებზე. ამას თხოულობს ხალხიო.—

მკვლელობა ორსივალში.

დიდხანი არ არის რაც ფრანცუზულ ენაზე გამოვიდა ბაბორიოს რომანი, რომელშიაც მშვენიერად არის აწერილი მკვლელობა ქ. ორსივალში; ყველაზე უფრო გასაკვირველი ამ რომანში არის გამომძიებელის გამჭრიახობა და გამოცდილობა. ჩვენ მოგვყავს აქ მოკლეთ ამ რომანის შინაარსი „სამართლის მოამბედან.“—

ორსივალი ერთი პატარა ქალაქია ფრანციაში, პარიჟის მახლობლად; იმის არე მარეში დგას მშვენიერი სახლი, რომელიც ეკუთვნის ერთს მდიდარს მეოჯახეს-სიეერსის; ამ უკანასკნელს ჰყავს მშვენიერი ცოლი—ბერტა, რომელიც არის ერთი ღარიბი სოფლის მასწავლებლის ქალიშვილი.—სიეერსიმ დაიცვა სიკვდილისაგან თავის მეგობარი გრაფი ტრემორელი და ამას გარდა აძლევდა იმას ცხოვრების ღონისძიებასა. ტრემორელმა მადლობის მაგიერ ეს სიკეთე მით გარდაუხადა სიეერსის, რომ გაჰმართა ბერტასთან სასიყვარულო კავშირი.

ბერტა ატყობდა, რომ ქმარმა იცის ეს კავშირი; იმას არ უნდოდა დაენებებინა თავი ტრემორელისთვის, რომელსაც იმ დროს მდიდარი ქალი ეძლეოდა; ამიტომ იმან განიზრახა ქმრის მოწამლვა; ამ საქმეში იმას ტრემოლიც ეხმარებოდა. სიეერსიმ იმ წამსვე შეატყო საწამლავს, მაგრამ არავის არ გაუმხილა ეს ამბავი; ის წერდა ყველაფერს, რაშიაც კი ჩადიოდნენ ბერტა და ტრემორელი, ჩაჰტოვა ბოთლში და შეინახა საწამლავი, რომლითაც სწამლავდენ იმ.ს, აწერა დაწვრილებით თავის მდგომარეობა ავათმყოფობის დროს.—უველა ეს დანაშაულობის დამამტკიცებელი ქაღალდები სიეერსიმ დაბეჭდა და გარდასცა შესანახავათ იქაურ მოსამართლეს პლანტსა, იმ პირობით, რომ პაკეთი გაიხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში—თუ ტრემორელი ბერტას არ შეირთავს, იმის (სიეერსის) სიკვდილის შემდეგ; იმან იმოდენი ეცადა, რომ თავის სიკვდილამდი ბერტა და ტრემორელი შეაძულა ერთმანერთს; ჯავრის ამოსაყრელად სეევერსის უნდოდა შეეერთებია ორივე იმის მკვლელები, რომელთაც სძულდათ ერთმანერთი და ამ რიგათ გაეტარებინათ იმათ მთელი ცხოვრება მუდამ წვალებაში და ერთმანერთის სიძულვილში. სეევერსი კვდება, თუმც ძალიან ადვილად შეუძლია თავის თავის პატიება; მაგრამ ნატრვა კი მალე შეუსრულდება იმას: ტრემორელი შეიყვარებს და შეაცდენს მერი პურტუას ქალს—ლორენსს.—ლოგინათ დაწოლის დროს რო მოაწვეს, ლორენსი წავა პარიჟში და იქიდან სწერს დედ-მამას, რომ ის თავის ხელით თავს იკლავს. ამ დროს ტრემორელი მოჰკლავს თავის ცოლს—ბერტას, გაიქცევა ლორენსთან პარიჟში და იქიდან ორივემ ერთად უნდა გაიქცნენ სამზღვარს გარეთ.

ტრემორელმა ძალიან ოსტატურათ მოჰკლა თავის ცოლი; საქმე ისე დააწყო, რომ ყველას ეგონებოდა—ცოლთან ისეც მოჰკლესო; ამას გარდა იმან ისეთ ნაირად გახვია ამ საქმეში ერთი თავის მოსამსახურე, რომ მკვლელობაში უსათუოთ იმაზე უნდა აიღონ ეჭვი.—

მკვლელობის წინა დღეს ტრემორელი გამოართმევს თავის ბანკირს კარგა ძალს ფულებს და ცდილობს ეს ამბავი ყველა შინაურებმა შეიტყონ. მერე გაუშვებს პარიჟში ყველა მოსამსახურეებს თავის მოახლის ქორწილზე.—ერთს მოსამსახურეს, რომელიც ერთხელ ქურდობაში იყო შენიშნული, აძლევს 1,000 ფრანკს (300 მან.) და საიდუმლოთ ეტყვის, რომ ამით დიდი დანა და სხვა დაკეტილების სამტვრევი იარაღები მიყიდეო. ამ იარაღების ყიდვის შემდეგ ერთი ტრემორელის საყვარელი უნდა შეხვედრომოდა მსახურს პარიჟში, იმის განკარგულებით, უნდა შეეყვანა ის სასტუმროში, დაეთრო, წაერთმია იარაღები და გარდაეყარა ისინი წყალში; ამას გარდა საყვარელი უნდა ცდილიყო, რომ გათენებამდი არ გამოეშვა ეს მოსამსახურე პარიჟიდან.—

ტრემორელმა მოჰკლა თავის ცოლი საწოლ ოთახში; წაათრია გვამი ბაღში და დააგდო იქ წყლის პირას; ბაღში იმიტომ დააგდო, რომ ჰგონებოდათ-ვითომ მკვლელები გამოედევნენ ბერტას მოსაკელელად, დაეწიენ იქ და მოკლეს; იქვე დააგდო იმან თავის ფოსტლები და ცხვირსახოცი, იმისთვის რომ უჩვენოს გამომძიებლებს-ვითომ ისიც დაახრჩვეს მკვლელებმა; ერთ ოთახში დადგა სტოლზე რამდენიმე სტაქანი და პურის ნაჭრები დაჰყარა,—ეს ვითომ მკვლელებს ვახშამი უჭამიათ. ბატეხა შკაფები და კამოდი—ვითომ ქურდებს ფულები უძებნიათ.—

ეჭვი აიღეს ბესპენზე—იმ მოსამსახურეზე, რომელიც ტრემორელმა პარიჟში გაგზავნა. სხვა მსახურებმა აჩვენეს, რომ ბესპენი ჩვენთან ერთად წამოვიდა პარიჟში, მაგრამ გზაზე ჩამოგვრჩა და ქორწილში არ ყოფილაო. შინ დაბრუნდა ბესპენი, დამთვრალი, დილას. იმას უნახეს ჯიბეში 1,000 ფრანკამდი; შეიტყვეს, რომ პარიჟში უყიდნია იმას დანა და სხვა რაღაც იარაღები. ვითომ ბესპენი გრძნობდა, რომ იმის საქმე ცუდათ იყო, მით უფრო რომ გამომძიებელს ვერ აუხსნა რიგიანად—რისთვის იყიდა დანა და სხვა იარაღები, ან რა უყო ისინი.—ამას გარდა იმას უნახეს გასისხლიანებული სერთუკი და ბერტას ეჭირა ხელში ამ სერთუკის ნაჭერი.—ბამომძიებელმა დაატუსაღა ისა და იმასთან ორი მეთევზე—რიპაილები; მეთევზეებზე აიღეს ეჭვი ცრუ ჩვენების გამო: იმათ აჩვენეს, რომ ბერტას გვამი ჩვენ შევნიშნეთ ნავიდგანო და ადგილიც დაასახელეს, საიდანაც შეეხედნათ; მაგრამ გამომძიებელმა გასინჯა და დაამტკიცა, რომ იმ ადგილიდან გვამის დანახვა არ შეიძლებოდა. ნამდვილად კი საქმე ასე ყოფილიყო: ისინი შეპარულიყვნენ ბაღში ტოტის მოსაჭრელად და მაშინ დაენახათ ბერტას გვამი; ამას ისინი იმიტომ მალავდნენ, რომ ხის მოჭრისთვის დაშტრაფის ეშინოდათ.—

ბამომძიებელად იყო ლეკოკი; იმან დაათვალიერა ბაღი, სახლი და თავიდანვე სთქვა, რომ მკვლელობა უეჭველად ტრემორელმა მოახდინაო, რომ ის ცოცხალი უნდა იყოსო და, თუმც ცარცვის ნიშნები არის (გატეხილი შკაფი, კომოდი), მაგრამ მკვლელობის მიზეზი ეს არ უნდა ყოფილიყოო.—

ლეკოკი თავდაპირველად ცდილობს შეიტყოს დრო მკვლელობისა და მკვლელების ხასიათი. ზალაში იდგა სტოლზე ხუთი სტაქანი—აქედან უნდა გამოეყვანა კაცს, რომ მკვლელები ხუთნი ყოფილან; საწოლ ოთახში ქვეშსაგები აშლილი იყო—ეს იმის ნიშანია, რომ მკვლელები მოსულან ნაშუადღევს, როცა გრაფსა და მისს ცოლს სძინებიათ; ერთს ოთახში ეგდო პოლზედ კედლის საათი, რომელიც სამს საათს უჩვენებდა; მაშ მკვლელობა სამს საათზე მომხდარა და ავაზაკებს სიჩქარის დროს ჩამოუგდიათ საათი და ის გაჩერებულა; ლეკოკმა წყნარად აიღო ის და დააყენა საათის ისარი მესამის ნახევარზე; საათმა თერთმეტი დაჰკრა; აქედან ცხადათ დამტკიცდა, რომ მკვლელობა სამს საათზე კი არა—თერთმეტზე მომხდარა; მკვლელებს გარდაუწევიათ საათის საჩვენებელი ისარი, მაგრამ, სიჩქარის გამო, დავიწყებიათ საკვრაი ზამბარაკის (პრუჟინის) გასწორებაცა.—

— მაშასადამე, სთქვა ლეკოკმა, მკვლელობა გამოუცდელს და ხეპრე ავაზაკებს არ მოუხდენიათ; იმათ დაწყობილი ჰქონიათ პლანები, მაგრამ შემცდარან.—

ნახა თუ არა ლეკოკმა ლოგინი, იმ წამსვე სთქვა, რომ იმაზე კაცი არ წოლილაო, ის ხელით არის აშლილიო; არც ლეიბი იყო ჩაზნექილი და ზეწარიც სწორეთ იყო იმაზე გადაფარებული.—

ზევითა ეტაჟის ოთახში ნახეს ცული.—ბერტას ტანზე დაჭრილობები აჩვენებდენ, რომ ის არის მოკლული დანითა და რაღაც დაბლაგვილი იარაღით. პირველი დათვალიერებისა შემდეგ, ლეკოკმა გამოიყვანა შემდეგი დასკვნები:

მესამე ატაჟაში გდია, ვითომ დავიწყებული, ცული,—ეს იმას ნიშნავს, რომ მკვლელებს განგებ მოუტანიათ და დაუგდიათ იქ ის.

ზალაში სტოლზე ხუთი სტაქანი დგას;—მაშ მკვლელები ხუთი არ იქნებოდნენ, ისინი იყვნენ ან ხუთზე ნაკლები, ან მომატებული.—

სტოლზე ჰყრია ვახშმის დანაშთენი ნაფხვენები,—ეს იმას მოასწავებს, რომ ავაზაკებს არც უსვამთ აქ და არც უჭამიათ;

ბერტას გვამი ბაღში ჰდევს,—ის არის იქ განგებ მიტანილი და არა იქ მოკლული;

ვამის ხელში მაუდის ნაჭერია,—ეს ნიშნავს, რომ ნაჭერი თვითონ მკვლელებს ჩაუდვიათ იმისთვის ხელში;

ბერტას გვამი საშინლად დამახინჯებულია დაჭრილობებით,—ეს იმას ნიშნავს, რომ ის ერთი დაკვრით არის მოკლული.—

შემდეგში უფრო გარკვეით გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ლეკოკი არ სცდებოდა, ასე რო სჯიდა: მკვლელს შეცდომით ღვინის მაგიერათ, ძმარი დაედგა სტოლზე; ბაღში ბალახი დაღუნული იყო; აქედან ლეკოკმა გამოიყვანა, ეს რომ ბერტას არ ურბენია ბაღში, ის მკვდარი წაუთრევიათ იქ.—ამ ნიშნებს გარდა ლეკოკმა მოჰკრიბა ცნობები ტრემორელისა და ლორენსის კავშირზე და ამ უკანასკნელის (ლორენსის) ორსივალიდან გაქცევაზე. ეს ნიშნები იმისთვის სრულიად საკმაო იყო რომ გამოეცნო—ვინ იყო ნამდვილი მკვლელი ბერტასი; იმან პირდაპირ გრაფ ტრემორელს მიათითა.—

(შემდეგი იქნება).

სავაჭრო ცნობები.

თბილისის ოლქის სასამართლოს ბაქაულის თანამდებობის აღმსრულებელი პეტრე ხანდამოვი, მცხოვრები თავის სახლში, პირველ განყოფილების მეოთხე ნაწილში ამით აცხადებს, რომ წელს აგვისტოს ოთხში თბილისის ოლქის სასამართლოში ისყიდება, მეორეთ შეუვაჭრებლათ, ერთ ეტაჟიანი დუქანი, რომელშიაც არის ფურნე, ეზოთი; ეს დუქანი არის 1 განყოფილების 1 ნაწილში, ბალავინის პროსპექტზე. მიწა 45 კვად. საჟენია; ეკუთვნის თბილისში მცხოვრებს გრიგოლ დავითოვს. ისყიდება ქვრივი ელისაბედ ბალიოზოვის და იმის ობლების ვალში, რომელიც შეადგენს 720 მანეთს. ეს ფურნე არის დაფასებული 3,500 და გირაოთა აქვს 1,600 მანეთში. არუთუნ ბურგენოვს.

დაწვრილებით აღწერა ამ ფურნისა და ეზოსი შეიძლება ნახონ ყოველ დღე 10 დგან 1 საათამდე თბილისის ოლქის სასამართლოში, ბაქაულ ხანდამოვთან

სპეციალური ცნობა.

ქართველს საკითხავი ვიცნი, შეადგენილი ი. ბოგებაშვილის მეორისაგან, მეოთხე გამოკლებით ექვსი თაბახი ფორმატისა, რომელიც გამოვიდა, და ისყიდება: სასულიერო სემინარიის წიგნების მაღაზიაში. ფასი ქართველებს ქალაქებში გაიგზავნება გასასყიდად; ფასი ყოველ წიგნზე 5 შაურია.

უ მ ა წ ვ ი ლ კაცს, რომელსაც შეუსრულებია სწავლა პარიჟში, ჰსურს ასწავლოს ფრანცუზული ენა. ადრესი იკითხე მელიქიშვილის სტამბაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Іюля, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.